სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2011 წლის 8 დეკემბერს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- ***შულგინი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №29912/05***

აპლიკანტი რუსლან შულგინი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1978 წელს და ცხოვრობს ვინიცაში (უკრაინა). 1999 წელს ის ბრალდებულად სცნეს ქურდობის, ძარცვის, თაღლითობისა და გამოძალვის ჩადენაში. მას მიუსაჯეს შვიდი წლით პატიმრობა, რომელიც სრულად მოიხადა და გათავისუფლდა 2003 წლის დეკემბერში. ის აცხადებს, რომ სახელმწიფომ არ მიაკუთვნა კომპენსაცია იმის თაობაზე, რომ განაჩენით მისჯილი პატიმრობიდან ორი წელი უკანონო იყო, რადგან გამოძალვის ბრალდება შემდგომში დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი, რაც კონვენციის მე-5 მუხლის V ნაწილის დარღვევად მიაჩნია განმცხადებელს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის V ნაწილი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 16 000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის დასაფარად.

<u>**გაჭიანურებული საქმეები**</u>

- ***პეტროვი და სხვები უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №44654/06, 32525/08 და 35537/08***

აღნიშნული საქმე ეხება სამოქალაქო საქმის გაჭიანურებით განხილვას, რომელიც აპლიკანტებმა აღძრეს თავიანთი დამქირავებლების წინააღმდეგ ინვალიდობის გამო კომპენსაციის მოთხოვნის თაობაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- ***თ. ჰ. ირლანდიის წინააღმდეგ – განაცხადი №37868/06***
- ***კოველენკო უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №61404/08***

ორივე საქმე ეხება განმცხადებლების წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეების გაჭიანურებით განხილვას.

სასამართლომ ორივე საქმეში დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა, ხოლო საქმეში ***თ. ჰ. ირლანდიის წინააღმდეგ*** *– სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილთან მიმართებაში.*